ბრძანება:**ბ46. 46240158**

თარიღი:**15/01/2024**

მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული 2 ერთეული უძრავი ქონების ბალანსიდან ჩამოწერის მიზნით დროებითი საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ზოტისა და შუა ამაღლების ადმინისტრაციული ერთეულების ადმინისტრაციულ ცენტრში მდებარეობს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზებული, გამოუყენებელი, შენობა-ნაგებობები, კერძოდ, სოფელ ზოტში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობა (ს/კ N28.23.21.561) და სოფელ შუა ამაღლებაში სასოფლო ამბულატორის შენობა-ნაგებობა (ს/კ N28.05.22.212).

სოფელ ზოტში მოსახლეობისათვის სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიზნით, დაგეგმილია საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა, რომლის სამშენებლო ტერიტორია ესაზღვრება ადმინისტრაციულ შენობას და ხელისშემშლელია საზოგადოებრივი ცენტრის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და ასევე, აღნიშნული შენობა დაზიანებულია ხანძრისაგან, ხოლო სოფელ შუა ამაღლების სასოფლო ამბულატორიის ხის შენობა ფაქტობრივად გამოუყენებელია მისი მდგომარეობის გამო და ამასთანავე, ამახინჯებს ადმინისტრაციული ცენტრის იერსახეს.

საჭიროა განხორციელდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზოტში #28.23.21.561 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე #1 შენობისა (ადმინისტრაციული შენობა) და სოფ. შუა ამაღლებაში #28.05.22.212 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე #3 შენობის (სასოფლო ამბულატორიის შენობა) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბალანსიდან ჩამოწერა, შემდგომში მათი დემონტაჟის მიზნით.

გამომდინარე აქედან, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ზოტისა და შუა ამაღლების ადმინისტრაციული ერთეულების ადმინისტრაციული ცენტრის იერსახისა და ინფრასტრუქტურული განვითარების ხელეწყობის მიზნით:

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ვ“ ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის მე–3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის #364 ბრძანების, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის #32 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე რიცხული) არსებული ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ბალანსიდან ჩამოწერის წესი“-ს მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზოტში #28.23.21.561 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე #1 შენობისა (ადმინისტრაციული შენობა) და სოფ. შუა ამაღლებაში #28.05.22.212 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე #3 შენობის (სასოფლო ამბულატორიის შენობა) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბალანსიდან ჩამოწერის მიზნით, შეიქმნას დროებითი

საინვენტარიზაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- გია გიორგაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი - კომისიის თავმჯდომარე;

- თენგიზ ცენტერაძე - მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ინფრასტრუქტურის საკითხებში - წევრი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

- ვალერი ყაჭეიშვილი – მუნიციპალიტეტის მერიის ეკომომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი - წევრი - კომისიის მდივანი;

- ნინო გიორგაძე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის საკითხებში - წევრი;

- ირაკლი მეგრელიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ეკონომიკისა და ტურიზმის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ეკონომიკური განვითარების საკითხებში - წევრი;

- ბექა შენგელია – მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი - წევრი;

- ზაზა სიხარულიძე – მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მშენებლობის სანებართვო პირობების მონიტორინგის განყოფილების უფროსი – წევრი.

2. დაევალოს საინვენტარიზაციო კომისიას შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე: ჭავჭავაძის ქუჩა N4.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით შარაშიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია-
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი